

# დაზღვევის ისტორია

თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი

## სარჩევი

1. დაზღვევის განვითარების ეტაპები
2. ურთიერთდახმარება
3. გიულდიურ-საწარმოო დაზღვევა
4. კომერციული დაზღვევა
5. დაზღვევის სხვადასხვა სახეების განვითარება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი. 2013

## 1. დაზღვევის განვითარების ეტაპები

დღეს, ალბათ, ყველა მეტად თუ ნაკლებად იცნობს დაზღვევას, თეორიულად მაინც. ზოგიერთს პრაქტიკული შეხებაც ჰქონია დაზღვევასთან. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი მარტივი და ნათელია... მაგრამ თუ დავსვამთ კითხვას: რამდენი წლისაა სადაზღვევო საქმე? - ვგიჟრობ, ვერავინ გასცემს ზუსტ პასუხს, თუნდაც მიახლოებით.

საიდან მოდის დაზღვევის იდეა?

დაზღვევის ისტორია იმდენად ძველია, რომ შეუძლებელია დადგინდეს მისი წარმოშობის ზუსტი თარიღი. იგი სათავეს იღებს შორეულ წარსულში, როდესაც გაჩნდა ცივილიზაციის და სახელმწიფოებრიობის პირველი ნიშნები.

დაზღვევის წარმოშობას წინ უსწრებდნენ ობიექტური წინაპირობები, რომლებმაც ადამიანებს უბიძგა დაემყარებინათ გარკვეული სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებსაც შემდგომ დაზღვევა დაარქვეს.

ასეთ წინაპირობებს განეკუთვნებოდა ის სახიფათო მოვლენები, რომლებიც ადამიანისათვის გამოუსწორებელ ფიზიკურ და ქონებრივ დანაკარგებს განაპირობებდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მოვლენები აზიანებდნენ, ანადგურებდნენ ადამიანის მიერ შექმნილ სიმდიდრეს. დაზღვევის წარმოშობა დაკავშირებულია შემდეგ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან.

- საფრთხეები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ქონების ან ნებისმიერი სხვა მატერიალური დაზიანება, და რომელთა დადგომა შეუძლებელია აღმოვფხვრათ (ობიექტური ფაქტორი);

- ადამიანის შიში მატერიალური და პირადი არამატერიალური სარგებლების უსაფრთხოებასა და შენარჩუნებაზე (სუბიექტური ფაქტორი);

- ადამიანების საჭიროება, სურვილი და ნება, ხელმისაწვდომი მეთოდებითა და საშუალებებით ებრძოლონ იმ საფრთხეებს, რომლებიც მათში იწვევენ საზიანო შედეგების დადგომასთან დაკავშირებულ შიშს (ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების კომბინაცია).

ეს ფაქტორები წარმოადგენენ დაზღვევის წარმოშობის წინაპირობებს, როგორც საშიში მოვლენების შედეგებთან ბრძოლის სოციალურ- ეკონომიკური საშუალებას.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სადაზღვევო საქმემ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის დროსაც შემუშავდა დაზღვევის ძირითადი პრინციპები, სახეები და მიმართულებები. თითოეული ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო დაზღვევის ორგანიზაციის და განხორციელების საკუთარი თავისებურებები.

დაზღვევის შემდეგ ეტაპებს გამოყოფენ:

- ურთიერთდახმარების დაზღვევა
- გიულდიურ-საწარმოო დაზღვევა
- კომერციული დაზღვევა

## 2. ურთიერთდახმარება

დაზღვევის ყველაზე ადრეულ ფორმას წარმოადგენდა სადაზღვევო ურთიერთდახმარება. მას საფუძვლად ედო კოლექტიური ურთიერთდახმარება.

ეკოლუციური განვითარების პროცესში ადამიანზე გავლენას ახდენდნენ საშიში ბუნებრივი მოვლენები, ვულკანების ამოფრქვევა, მიწისძვრები, მეწყერები, გვალვები. ეს მოვლენები განიხილება როგორც საფრთხეები, ანუ რისკები, რის შედეგად ადამიანები განიცდიდნენ ზარალს. ამგვარად ერთი მხივ არის საფრთხეები, რისკი, მეორე მხრივ კი მისი შედეგი ზარალი. რისკი და ზარალი წარმოადგენს დაზღვევის ფუნდამენტურ პრინციპებს.

თანდათანობით ადამიანი აცნობიერებდა თავისდამოკიდებულებას ასეთი “შემთხვევების” -ბუნებრივი კატასტროფების, ომების, სხვა სიცოცხლისათვის საშიში საფრთხეების მიმართ დაცდილობდა გამოეგონებინა მისგან დაცვის საშუალებები.

უძველეს პერიოდშიც კი ადამიანებისათვის ნათელი იყო, რომ ასეთი საფრთხეების, რისკების შედეგად გამოწვეული ზარალისგან დაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა ძალების და საშუალებების გაერთიანება. მაგალითად, გვალვისაგან

მოუსავლიანობის პირობებში წინდაწინ საერთო მარაგის შექმნა. სწორედ მაშინ წარმოიშვა იდეა საერთო, ურთიერთდახმარების ფონდების შექმნის შესახებ.

ურთიერთდახმარების დაზღვევის პრინციპი მარტივია: ამისათვის მშვიდობიან პერიოდში საზოგადოებისგან იკრიფება გადასახადი. ამ გადასახადებით იქმნება ფონდები, სადაც ადამიანები ერთიანდებოდნენ ნათესაური, პროფესიული, ან ტერიტორიული ნიშნებით. და თუ რომელიმე მათგანს შეემთხვევა უსიამოვნო მოვლენა, ამ ფონდებიდან ხდებოდა დაზარალებულისათვის ზარალის გადახდა.

ამგვარად, ურთიერთდახმარების საერთო ფონდის ცნება უძველესი დროიდან გამყარდა კაცობრიობის ცნობიერებაში. სწორედ ეს ფონდები წარმოადგენდნენ დაზღვევის უძველეს ფორმას.

ურთიერთდახმარების დაზღვევის შესახებ ნახსენებია ბიბლიაში - კერძოდ, იგავში იოსებზე და ფარაონის სიზმარზე. როგორც ბიბლიიდან ცნობილია, ეგვიპტის მმართველს დაესიზმრა ნილოსის წყლებიდან გამოსული შვიდი მსუქანი ძროხა და შემდეგ შვიდი - მჭლე ძროხა, რომლებმაც შეჭამეს მსუქანი ძროხები. იოსებმა სიზმარი შემდეგნაირად ახსნა: შვიდი მსუქანი ძროხა არის შვიდი წლის განმავლობაში ქვეყანაში სიმდიდრის და სიუხვის წინასწარმეტყველება, შვიდი მჭლე ძროხა - ეს არის გაფრთხილება შემდგომი 7 წლის განმავლობაში მოუსავლიანობისა და შიმშილის შესახებ. სიზმრის ახსნის შემდეგ იოსებმა შესთავაზა მოსახლეობიდან შეეგროვებინათ თანხები, პროდუქტები, შეექმნათ მარაგი, რომ მოუსავლიანობის და შიმშილის პერიოდში ადამიანებს ჰქონოდათ საკვები.

ამ ბიბლიურ იგავში დაზღვევის ყველა კომპონენტია წარმოდგენილი: პროგნოზირება, მოსახლეობიდან შესატანები, ამ შენატანებით მარაგის, ანუ ფონდის შექმნა, და, ბოლოს, როდესაც დადგება რაღაც გარკვეული არასასურველი მოვლენა ამ ფონდიდან დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა.

ასევე, დაზღვევის უძველესი წესები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, გადმოცემულია თალმუდის ერთ-ერთ წიგნში.

თალმუდი როგორც ისტორიიდან მოგვხსენებათ, გახლავთ დიდი იუდეველი რაბინების (ღვთისმსახურების), მიერ შეკრებილი და შედგენილი მოძღვრების კრებული. ამ წიგნის მიხედვით, თუ ერთ-ერთ მენახირეს დაელუპებოდა ვირი, დანარჩენ მენახირეებს ევალეზოდათ დალუპული ვირის სანაცვლოდ დაზარალეზულისათვის მიეცათ ვირი, მაგრამ არა ფული.

ჯერ კიდევ იმ დროში ჩადებულ იქნადა ზღვევის მნიშვნელოვანი პრინციპი - დაზღვევა გულისხმობს დაზარალეზულის მდგომარეობის დაბრუნებას იგივე, ან თითქმის იგივე მატერიალურ მდგომარეობაში, როგორშიც ის იმყოფებოდა არაკეთილსასურველი მოვლენის დადგომამდე, ანუ დაზღვევა არ უნდა ემსახურებოდეს დაზღვეულის გამდიდრებას და მისი ანაზღაურება ზარალის დადგომისას არ უნდა აღემატებოდეს ზარალის სიდიდეს.

ასეთი ფონდები ჯერ კიდევ ძველეგვიპტესა და შუამდინარეთში არსებობდნენ. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში (ძვ. წ. IV ათასწლეული) შეიქმნა ქვის მთელთა ურთიერთდახმარების ფონდები. ასეთივე ფონდებს იყენებდნენ აგრეთვე ჩინელი და ბაბილონელი ვაჭრები, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 და მე-2 ათასწლეულებში.

ძველ შუმერში (ძვ. წ. IV-III ათასწლეული) სავაჭრო-საქარავნო გზების განვითარების შედეგად შექმნეს ხელშეკრულების კონცეფცია. ვაჭრებს გასცემდნენ ფინანსურ გარანტიას ან თანხას (სესხის სახით ან საერთო ფონდიდან) მათი ინტერესების დასაცავად ტვირთის ტრანსპორტირებისას მისი დაკარგვის შემთხვევაში

ურთიერთდახმარების ფორმა გამოიყენებოდა აგრეთვე სახმელეთო და საზღვაო ვაჭრობის სფეროში, რომელიც ხშირად ერთჯერადი შეთანხმებების ხასიათს ატარებდა.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში არსებობდა ნებაყოფლობითი შეთანხმებები, რომლებშიც შეიძლება დავინახოთ თანამედროვე სადაზღვევო ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ასეთივე შეთანხმებების არსებობას ადასტურებს ბაბილონის მეფის ხამურაბის (ძვ. წ. II ათასწლეული) კანონები. ხამურაბმა ძვ. წ. II ათასწლეულში შუამდინარეთში წინა აზიის

უძლიერესი სახელმწიფო შექმნა. ხამურაბი ფიქრობდა, რომ იგი იყო ღმერთების რჩეული და ვალდებული იყო ხალხისათვის შეექმნა კანონები. ხამურაბმა მოაწესრიგა ქვეყნის მმართველობა და შემოიღო ერთიანი კანონმდებლობა. ამ კანონების მიხედვით, სავაჭრო ქარავანის მონაწილეებს შორის არსებობდა წინასწარი შეთანხმება, რომელიც გულისხმობდა ყაჩაღობის, თავდასხმების, ძარცვის შემთხვევებში დანაკარგების ერთმანეთს შორის გაზიარებას. ამგვარად, დაზღვევის საწყის ფორმებში ჩადებული იყო კოლექტიური ურთიერთდახმარება.

ძველ საბერძნეთში, როდოსელი ვაჭრები ქმნიდნენ ფონდებს, სადაც შეგროვებული თანხით მათ შეეძლოთ ქარიშხლის ან გემის ჩაძირვის შედეგად დაკარგული ტვირთის ღირებულების ანაზღაურება. ძვ. წ. 916 წ. როდოსში მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა გემების დაზიანების შემთხვევაში ზარალის განაწილების მექანიზმებს.

ხმელთაშუა ზღვის აუზში საზღვაო ვაჭრობის აღმავლობამ ხელი შეუწყო დაზღვევის ადრეული ფორმების განვითარებას. ათენელი ორატორის დემოსთენეს (ძვ. წ. 384-322 წწ.) მიხედვით ძველ ათენში არსებობდა „საზღვაო კრედიტი“. სესხები გაიცემოდა გემების დასაქირავებლად და შემდგომ სანაოსნო მოგზაურობების დასაფინანსებლად. წარმატებული მოგზაურობის შემთხვევაში მსესხებლებს უბრუნებდნენ მოგებიდან გარკვეულ წილს, ხოლო წარუმატებელი მოგზაურობის შემთხვევაში არაფერს არ აბრუნებდნენ. სესხზე დაწესებული მაღალი 30 %-იანი გადასახადი, და ამ დაგროვილი თანხით შესაძლებელი იყო საზღვაო რისკის დაფარვა. ამასთან საკრედიტო განაკვეთები დამოკიდებული იყო წელიწადის დროებზე, ანუ ხდებოდა რისკის შეფასება. რაც უფრო რისკიანი, ანუ სახიფათო იყო წელიწადის დრო მით მეტი განაკვეთი წესდებოდა.

სპარსეთის სახელმწიფო (ძვ.წ. 550–330 წწ.) აქემენიდების დინასტიის მმართველობის პერიოდში წინა აზიის უძლიერეს იმპერიად იქცა. დაზღვევის რეგისტრაცია სახელმწიფო დაწესებულებებში პირველად სწორედ სპარსეთში განხორციელდა. აქემენიდების დინასტიის მონარქი იყო პირველი, რომელმაც ოფიციალურად დააზღვია თავისი სახლი სახელმწიფო სანოტარო ოფისის მეშვეობით. სპარსეთში დაზღვევა ხდებოდა ყოველწლიურად, ნავროზობის პერიოდში, რომელიც ირანული ახალი წლის დასაწყისს წარმოადგენს. ამ დროს

სპარსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები და მონარქისათვის მოჰქონდათ ძღვენი. ყველაზე მნიშვნელოვან საჩუქარს მართმევდნენ სპეციალური ცერემონიის დროს. თუ საჩუქრის ღირებულება 10 000 დერიკს (აქამენიდური ოქროს მონეტა) აღემატებოდა, მას დაარეგისტრირებდნენ სპეციალურ დაწესებულებაში. ასეთი საჩუქრის რეგისტრაციის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ საჩუქრის მეპატრონეს მონარქი ნებისმიერი საჭიროების დროს უნდა დახმარებოდა. ერთ-ერთი ირანელი ისტორიკოსი გადმოგვცემს: როდესაც საჩუქრის მეპატრონეს უბედური შემთხვევა შეემთხვევა, ან შვილები ჰყავს დასაქორწინებელი, ან სახლის აშენება სურს, პასუხისმგებელი პირი ამოწმებს რეგისტრაციას და იმ შემთხვევაში თუ რეგისტრირებული თანხა გადააჭარბებს 10 000 დერიკს, მისი მფლობელი იღებს 2-ჯერ მეტ თანხას. ესეც დაზღვევის საწყისი ფორმის, კოლექტიური ურთიერთდახმარების მაგალითს წარმოადგენს.

თანამედროვე დაზღვევის ყველაზე ნათელი პროტოტიპი შეიძლება აღმოვაჩინოთ რომის იმპერიის პერიოდში. ძველ რომში ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კოლეგიები, სამხედრო, რელიგიური, პროფესიული და ურთიერთდახმარების კოლეგიები.

ისტორიული წყაროები მიუთითებენ, რომ ყველაზე ფართოდ კოლეგიები გავრცელებული იყო II-III საუკუნეებში. ეს კოლეგიები აერთიანებდა თავის წევრებს საზოგადოებრივ-ეკონომიკური, რელიგიური, საყოფაცხოვრებო და პირადი ინტერესების საფუძველზე. ამ კოლეგიების ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა ფულადი სახსრების შეგროვება ერთიან ფონდში და მათი შემდგომი ხარჯვა დანიშნულებისამებრ. არსებული წესის მიხედვით, კოლეგიის რიგით წევრებს საერთო ფონდში უნდა გადაეხადათ ერთჯერადი, ხოლო შემდეგ ყოველთვიური პერიოდული შენატანები.

კოლეგიის წევრის გარდაცვალების ან უბედური შემთხვევის დადგომის დროს ფონდიდან ხორციელდებოდა გარდაცვლილის დაკრძალვასთან (საფლავი, დაკრძალვის ცერემონია) დაკავშირებული ხარჯების დაფარვა, გარდაცვლილის ოჯახისათვის დახმარების გაწევა, ტრავმის, ან ავადმყოფობის შემთხვევებში ხორციელდებოდა მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა. ისტორიული წყაროების მიხედვით, სავალდებულო ერთჯერადი შენატანის 100 სესტერციუსის და ყოველთვიური პრემიის ხუთი ასის გადახდის

შემდეგ პროფესიული კოლეგიის გარდაცვლილი წევრის ოჯახს უფლება ჰქონდა მიეღო ანაზღაურება 300 სესტერციუსის ოდენობით. რელიგიური კოლეგიების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ურთიერთდახმარების ფონდების მეშვეობით ობოლთათვის და ღარიბი მოსახლეობისათვის სახლების, ასევე საავადმყოფოების აშენება. სამხედრო კოლეგიებში არსებობდა სპეციალური დაკრძალვის ფონდები, ჯარისკაცთა დაკრძალვის ხარჯებისათვის, აგრეთვე გარდაცვლილის ოჯახის წევრების დასახმარებლად.

რომის სამხედრო კოლეგიაში გარდაცვლილი მეომარის ოჯახს უხდიდნენ 500 დენარიუსის ოდენობით. სპეციალური ფონდიდან ხორციელდებოდა სამხედრო მოსამსახურეების დახმარება ადგილის შეცვლის ან ჯარიდან დათხოვნის შემთხვევებში.

გარდა კოლეგიებისა, ასეთივე ფონდებს ქმნიდნენ დაბალი ფენის ადამიანებიც. ისინი ყოველთვიურ შენატანებს იხდიდნენ ფონდში იმ მიზნით, რომ გარდაცვალებისას მათი მემკვიდრეები გარკვეულ თანხას მიიღებდნენ დაკრძალვის ხარჯების დასაფარად.

მესამე საუკუნის რომაელმა მათემატიკოსმა ულპიანემ (170 – 228 წწ.) შემოგვთავაზა სიკვდილიანობის ცხრილების (ან ე.წ. სიცოცხლის ხანგრძლივობის ცხრილების) ადრეული ფორმა. ულპიანეს კვლევის ინტერესს შეადგენდა სიკვდილიანობის დონის დადგენა, და ამით, ფონდში გაწევრიანებულ ადამიანთა სიკვდილიანობის დონის პროგნოზირება.

ურთიერთდახმარების ფონდები სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. რომაელი საზოგადო მოღვაწისა და ისტორიკოსის ტერტულიანეს (დაახლ. ჩვ. წ. 200 წ.) მიერ მოწოდებული ცნობებით, რომის იმპერიის მსგავსად საბერძნეთშიც იქმნებოდა სპეციალური ფონდები, სადაც დაგროვილი თანხებით შესაძლებელი ხდებოდა სამედიცინო დახმარების გაწევა ავადმყოფებზე, ღარიბ ფენებზე.

შუასაუკუნეებში, დასავლეთ ევროპის მონასტრებთან არსებული საავადმყოფოებისათვის სისტემატურად გროვდებოდა გარკვეული შესაწირი. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ საქართველოში, დავით აღმაშენებლის მეფობის დროს (XI ს.) სასწრაფოების წამლებითა და სამედიცინო ინვენტარით მომარაგება ხდებოდა შესაწირებით. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მეფე ხშირად მიდიოდა ქსენონში და პირადად ნახულობდა



ავადმყოფებს. იგი წერს: „თვით მოვიდის, მოილხინის, მოიკითხნის და ამბორის უყვის, თვითოეულსა მამებრ სწყალობდეს...“

რელიგიური ინსტიტუტები, ეკლესია უზრუნველყოფდა მოსახლეობის სოციალური დახმარების სხვადასხვა ფორმების დანერგვას, რომლებიც დაფუძნებული იყო ქრისტიანული თანასწორობის უნივერსალურ პრინციპებზე. რენესანსის გზაზე მყოფი საქართველოს სამეფო ფინანსური ურთიერთობების განვითარებულ სახეობებს იყენებდა ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომ არა გარეშე მტრების შემოსევები, საქართველო შეიძლება გამხდარიყო როგორც პარლამენტარიზმის ისე სადაზღვევო, საბანკო საქმეების სათავე მსოფლიოში

რომ შევაჯამოთ, ურთიერთდახმარების ფონდებმა თავიანთი დადებითი როლი ითამაშეს სადაზღვევო საქმის შემდგომ განვითარებაში, მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთდახმარების ფონდების მეშვეობით ზარალის ანაზღაურება არარეგულარულ და არასისტემურ ხასიათს ატარებდა. ეს კი დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ არ არსებობდა ეკონომიკური და სამართლებრივი წინაპირობები. ფულადი სახსრების აკუმულირების ასეთი მეთოდი ვერ უზრუნველყოფდა მუდმივი და სტაბილური ფონდისშენარჩუნებას, რადგან ამ ფონდების შევსების წყაროებს წარმოადგენდა მდიდარი მოქალაქეების შენატანები და შემოწირულობები. ასეთი შემოწირულობები არარეგულარული იყო, ხოლო შეგროვება - არასტაბილური, რადგან მცირეშემოსავლიან მოსახლეობას არ გააჩნდა სახსრები ფონდის შესავსებად. რადგან არ არსებობდა ასეთი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები და არსებული კანონები არ შეიცავდნენ მკაფიო და კონკრეტულ პროცედურებს საფრთხეების წინააღმდეგ მოქალაქეების დასაცავად ასეთი მეთოდი ეკონომიკურად არასიცოცხლისუნარიანი იყო.

ადრეულ პერიოდში, სამართლებრივი წინაპირობების გარდა, რომელთა გარეშე შეუძლებელია სადაზღვევო ურთიერთობის ფორმების დადგენა და განსაზღვრა, აგრეთვე არ არსებობდა დაზღვევის სახეებისა და რისკების მიხედვით გამიჯვნის პრინციპი. საქმე იმაშია, რომ ძველ რომში ურთიერთდახმარების ფონდებს, როგორც წესი, ქალაქის კოლეგიები იყენებდნენ "ყველა შემთხვევისათვის," და ამ დროს არ იყო გათვალისწინებული ის

საფრთხეები, რომლისთვისაც ეზღვეოდნენ კონკრეტული მოქალაქეები, ფონდში გარკვეული თანხის შეტანით.

აღნიშნული მიუთითებს, რომ დაზღვევის განვითარების ადრეულ ეტაპზე პრაქტიკულად არ ითვალისწინებდნენ მოქალაქეების პირად ინტერესებს, არ გამოიყენებოდა სადაზღვევო რისკების შეფასების მეთოდები, რისკების სახეების მიხედვით გარკვეული საფრთხეების იდენტიფიცირება და დაჯგუფება. პრაქტიკულად არ არსებობდა სატარიფო განაკვეთის განსაზღვრის პრინციპის ცნება და ბევრი სხვა აუცილებელი ნიშნები, რაც დამახასიათებელია თანამედროვე დაზღვევისათვის. აგრეთვე ისიც ფაქტია, რომ ამ პერიოდში დაზღვევა არ განიხილებოდა, როგორც სადაზღვევო საქმიანობისაგან შემოსავლის ან მოგების მიღების წყარო.

შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი სადაზღვევო საქმის წარმოშობა დაკავშირებულია VIII-IX საუკუნეებთან. ამ პერიოდიდან იწყება სადაზღვევო საქმის განვითარების ახალი ეტაპი, კერძოდ დაზღვევის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის - ცალკეული პირების დანაკარგების მთელ ჯგუფზე გადანაწილების განხორციელება. თუმცა დაზღვევის მეორე ძირითადი პრინციპი - სადაზღვევო ორგანიზაცია ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ არსებობდა.

### **3. გილდიურ-საწარმოო დაზღვევა**

შუა საუკუნეებში დაზღვევის განვითარებას ხელი შეუწყო გილდიების („კეთილმოსურნეთა საზოგადოებების“) ჩამოყალიბებამ. გილდია არის ერთიდაიგივე პროფესიის ან მსგავსი პროფესიების ადამიანების გაერთიანება. ასეთ გილდიებში იქმნებოდა სპეციალური ფონდები. ამიტომ, შუა საუკუნეების დაზღვევას ჩვეულებრივ გილდიურ-საწარმოო დაზღვევას უწოდებენ. გილდიური დაზღვევა გულისხმობდა შენატანების რეგულარულად გადახდას, სადაზღვევო შემთხვევების რისკის ხარისხის მიხედვით განსაზღვრას და ა.შ. ზარალის ანაზღაურება ხორციელდებოდა გილდიის ან საწარმოს საერთო ფონდიდან.

ასეთ გილდიებში ხორციელდებოდა ქონების და პირადი დაზღვევა. ქონების დაზღვევა გულისხმობდა ბუნებრივი კატასტროფების, წყალდიდობის, ხანძრის, გემების დაღუპვის,

პირუტყვის დაკარგვის, ასევე ქურდობის და ყაჩაღობის შედეგად მიყენებულიზარალის ანაზღაურებას. სპეციალურრისკს წარმოადგენდაგილდიის წევრის გაკოტრება, რომლისთვისაც დამატებითი დახმარებას გასცემდნენ.პირადიდაზღვევა გილდიებშიითვალისწინებდაგარდაცვალების, ავადმყოფობის და ინვალიდობის შემთხვევებში დახმარების გაცემას.

ასე მაგალითად, ინგლისში IX–XI საუკუნეებში უკვე არსებობდა გილდიები, რომლებშიც სახსრები გროვდებოდა წევრების გარდაცვალებისას დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად. დანიაში, (XII ს.) ერთ-ერთ გილდიაში თანხები გროვდებოდა გემის დაღუპვის ან რომელიმე წევრის ტყვედ ჩავარდნისას დახმარების გასაწევად. ასეთივე გილდიები ჩამოყალიბდა გერმანიაში (XI–XII სს.).

სწორედ ამ პერიოდში ჩნდებიან პირველი დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით, სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ახდენდნენ რისკების კლასიფიცირებას და ქმნიდნენ ჭეშმარიტი დაზღვევის ტექნოლოგიებს.

XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე უკვე ჩამოყალიბდა და განისაზღვრა სადაზღვევო საქმის ორგანიზაციის და წარმოების ძირითადი პრინციპები და მახასიათებლები, რომელმაც ხელი შეუწყო დაზღვევის შემდგომ განვითარებას.

#### **4. კომერციული დაზღვევა**

XIV საუკუნიდან გაჩნდა სადაზღვევო საქმის ორგანიზაციის ახალი მეთოდების შემუშავების საჭიროება, კერძოდ, დაზღვევის პროფესიულ დონეზე, განსაზღვრული სამართლებრივი რეგლამენტის საფუძველზე განხორციელების საჭიროება. ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ არსებობდა სადაზღვევოურთიერთობების გაფორმების საშუალება, სადაზღვევო ხელშეკრულება იშვიათ შემთხვევებში იღებოდა, ხოლო სადაზღვევო პოლისის სტანდარტული ფორმა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული პრაქტიკაში.

ამ პერიოდიდან იწყება სადაზღვევო საქმის ორგანიზაციის საფუძვლების სამართლებრივი რეგულირების ეტაპი. ამ მხრივ აღსანიშნავია, პირველი სადაზღვევო მარეგულირებელი წესები, რომლებიც არეგულირებდნენ საზღვაო დაზღვევას.

ისტორიკოსების მიხედვით, პირველი სადაზღვევო პოლისი გაცემულ იქნა ბერლინში 1347 წელს, შემდგომ ბარსელონაში 1435 წელს. გენუაში გაცემული სადაზღვევო კონტრაქტი თარიღდება 1437 წლით, რომელიც გამყარებული იყო მემამულეთა გირაოთი. 1468 წელს მიღებულ იქნა საზღვაო დაზღვევის ვენეციის კოდექსი. მოგვიანებით, 1549 წელს სადაზღვევო წესდება მიღებულ იქნა ჰოლანდიაში. 1584 წელს მარსელში გაიცა სადაზღვევო პოლისი, იგი უზრუნველყოფდა მარსელიდან ტრიპოლში მიმავალი სანაოსნო ტვირთის დაცვას. XVI ს-ის ბოლოს ინგლისში ინტენსიურად ვითარდება საზღვაო ვაჭრობა, და საზღვაო დაზღვევის ცენტრმა ინგლისში გადაინაცვლა. 1601 წელს, ინგლისის დედოფალ ელიზაბეტ I მიერ მიღებულ იქნა პირველი სახელმწიფო სამართლებრივი დოკუმენტი, პარლამენტის კანონი, რომელიც არეგულირებდა საზღვაო დაზღვევის მექანიზმებს. საფრანგეთში სადაზღვევო წესდება შემოღებულ იქნა 1681 წელს, პრუსიაში 1727 წელს, ხოლო ჰამბურგში 1734 წელს. დაზღვევის შესახებ პირველი წიგნი დაიწერა 1488 წელს პედრო დე სანტარემის მიერ და გამოქვეყნდა 1552 წელს.

აღნიშნული წესდებები განსაზღვრავდნენ დაზღვევის განხორციელების პირობებს, ძირითადად საზღვაო დაზღვევის სფეროში, რადგან შუა საუკუნეებში ვაჭრობის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა საზღვაო ვაჭრობა. ამასთან იგი განეკუთვნებოდა ვაჭრობის ყველაზე სახიფათო ფორმას ბუნებრივი მოვლენების (ქარიშხალი), გემთმშენებლობის არასრულყოფილების, მეკობრეების მიერ მუდმივი თავდასხმების და ძარცვის გამო.

გარდა ამისა, თუ ძველ დროში დაზღვევა არაკომერციულ ხასიათს ატარებდა და მზღვეველთა დროებითი ან მუდმივი კავშირები მიზნად არ ისახავდნენ მოგების მიღებას, სტიქიურად წარმოქმნილი არაკომერციული დაზღვევა თანდათან გადაიზარდა კომერციულ, ორგანიზებულ დაზღვევად. კომერციული დაზღვევის დროს სადაზღვევო საქმიანობას ახორციელებენ სპეციალიზებული კომერციული ორგანიზაციები - სააქციო და

ურთიერთდახმარების სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც თავიანთი საქმიანობის ძირითად მიზნად ისახავენ მოგების მიღებას, რომელიც შემდგომ ნაწილდება სადაზღვევო ორგანიზაციის დამფუძნებლებს შორის.

ისტორიულად, ლიტერატურაში გამოყოფენ კომერციული დაზღვევის სამ ძირითად ეტაპს. პირველი ეტაპი (XIV - XVII ს-ის დასასრული) დაკავშირებულია კაპიტალის საწყისი დაგროვების ეპოქასთან. მეორე ეტაპი (XVII ს.ბოლო - XIX ს. ბოლო) ასოცირდება თავისუფალი მეწარმეობისა და თავისუფალი კონკურენციის ეპოქასთან. მესამე ეტაპი (XIX ს. ბოლო - XX ს.) დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობის მონოპოლიზებასთან და კონკურენციასთან. კომერციული დაზღვევის ასეთ პერიოდიზაციას საფუძვლად უდევს ორი ფაქტორი: პირველ რიგში, სადაზღვევო ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ცვლილება, ხოლო მეორე მხრივ, სადაზღვევო საქმის სახეების ზრდა.

როგორც ავლნიშნეთ, თავდაპირველად, დაზღვევის ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა საზღვაო დაზღვევა. XIV-XVსს. ევროპელების მიერ აზიაში და ამერიკაში დიდი საზღვაო მოგზაურობების დაწყების ხანაში, რომლებმაც “სავაჭრო რევოლუცია”, ხოლო მოგვიანებით “სამრეწველო რევოლუცია” განაპირობეს, ხელი შეუწყვეს საზღვაო დაზღვევის განვითარებას.

შორულ მოგზაურობებში ქარიშხალს, ჭარბ ტვირთს ან გაუმართავ კონსტრუქციებს შესაძლოა ჩაეძირა გემები, ანშესაძლოა გზას აცდენოდნენ და დაკარგულიყვნენ, ან ამოწურულიყო საკვების მარაგი, ან ეპიდემიების გამო გემის ეკიპაჟი მთლიანად დაღუპულიყო. სწორედ ასეთი საფრთხეების, რისკების შედეგად გამოწვეული ზარალის თავიდან აცილებას, შემსუბუქებას, ანაზღაურებას ემსახურება დაზღვევა. ანუ საზღვაო მოგზაურობებმა ბიძგი მისცეს დაზღვევის განვითარებას.

ისტორიულად, საზღვაო დაზღვევა წარმოიშვა საკრედიტო გარიგებებიდან, როდესაც გაცემულ სესხზე ხელშეკრულებები იდებოდა. საერთოდ, საწყის ეტაპებზე საზღვაო დაზღვევა წარმოადგენდა საკრედიტო-სადაზღვევო გარიგებას. კრედიტორი ვაჭარს ან გემის მფლობელს ნაოსნობის ორგანიზაციისათვის აძლევდა გარკვეულ თანხას იმ პირობით, რომ

გემის დაზიანების, ან მეკობრეთა მიერ ძარცვის შედეგად ტვირთის ან გემის დაკარგვის შემთხვევებში ვაჭარი სესხს არ აბრუნებდა, ხოლო ტვირთის გემთან ერთად დანიშნულების ადგილას მშვიდობიანად დაბრუნების შემთხვევაში აღნიშნული თანხა კრედიტორს მთლიანად უკან უნდა დაბრუნებოდა მოგების წინასწარ შეთანხმებულ გარკვეულ ნაწილთან ერთად.

ამ გარიგებაში შესაძლებელია აღმოვაჩინოთ დაზღვევის გარკვეული ნიშნები. უპირველესად, თანხის დაბრუნების პირობები განსაზღვრულია გარკვეული საფრთხეების დადგომის ალბათობით. საფრთხეები შესაძლოა დადგეს, შესაძლოა არა. მეორე მხრივ, გემის ან საქონლის დაკარგვის შემთხვევაში გემის მფლობელს უჩნდება რეალური შესაძლებლობა, რათა დაფაროს საკუთარი დანაკარგები კრედიტორისგან აღებული სესხის ხარჯზე, ამასთან თანხის უკან დაუბრუნებლად. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების შეიცავს რისკის ელემენტებს: კრედიტორებისთვის რისკს წარმოადგენს გემის ან საქონლის დაკარგვა, ხოლო საქონლის ან გემის მესაკუთრისთვის - კრედიტორისათვის დამატებითი ანაზღაურების სავალდებულო გადახდა. ამ ურთიერთობების გაფორმება ხორციელდებოდა გარკვეული შეთანხმების სახით, კერძოდ საქონლის საზღვაო ტრანსპორტით გადატანის ძირითად გარიგებაზე დანამატის, დანართის სახით. მაგრამ რადგან მოვაჭრეებს არ აწყობდათ მიღებული მოგების კრედიტორებისთვის გაზიარება, დადგა მესამე მხარის არსებობის საჭიროება, რომლებიც ფულადი შენატანის სანაცვლოდ თავიანთ თავზე აიღებდნენ საქონლის დაკარგვის ან დაზიანების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას. ასეთ მესამე მხარეს წარმოადგენდა სპეციალურად შექმნილი საზოგადოებები, რომლებიც განახორციელებდნენ საზღვაო მოგზაურობისას საქონლის დაკარგვით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

თავად კრედიტორებიც, რომლებიც თავიანთ სახსრებს დებდნენ ასეთ სარისკო მოგზაურობებში, მიზანშეწონილად მიაჩნევდნენ რისკის ერთმანეთს შორის გადანაწილებას, რომ გემების დაღუპვის შემთხვევაში არც ერთინვესტორს მთლიანად არ დაკარგვოდა თანხები.

ზემოაღნიშნულის შედეგად გაჩნდა "საერთო რისკის", "საერთო ფონდის" ცნება. ამისათვის შემუშავდა ორი საშუალება:

პირველი გულისხმობდა ერთობლივი საწარმოს შექმნას, რომლის მეშვეობითაც ინვესტორები დებდნენ თანხას რამდენიმე გემის საერთო ტვირთზე. ამითისინი ახდენდნენ დანაკარგების რისკის და მოგების ერთმანეთს შორის განაწილებას.

მეორე გზას წარმოადგენდა დაზღვევა - სისტემა, რომლის დროსაც გემის ან ტვირთის მესაკუთრე (ინდივიდუალური პირი ან კომპანია) თანხას სთავაზობს სხვა ადამიანებს, რომლებიც თანახმაა მოახდინონ დანაკარგების კომპენსაცია, თუ გემის საზღვაო მოგზაურობა წარუმატებლად დამთავრდება. ამგვარად, ერთობლივმა (სააქციო) საზოგადოებებმა და დაზღვევამ დაიწყო ერთმანეთის შევსება, ანუ რისკის და საერთო ფონდების ცნებები ერთმანეთს შეერწყა. ადამიანების ჯგუფი ან კომპანიები აგროვებდნენ ფულადპრემიებს პირობის სანაცვლოდ, რომ გემის მფლობელს მისი დაკარგვის შემთხვევაში გადაუხდიდნენ კომპენსაციას (indemnity). მზღვეველები (სადაზღვევო ორგანიზაციები) ქმნიდნენ საერთო ფონდს, რომლის მეშვეობითაც განხორციელდებოდა რისკის დადგომის შემთხვევაში დაზღვეულების ანაზღაურება.

სადაზღვევო ბროკერების, შუამავლების და გემების მფლობელების თუ ვაჭრების შეხვედრები ხორციელდებოდა გაცვლის ბირჟაზე, სადაც ხდებოდა საზღვაო გზებზე საფრთხეების, გემების ვარგისიანობის, ეკიპაჟის შესახებ ყველა ინფორმაციის შეგროვება. აქ ხორციელდებოდა რისკების შეფასება, ფასების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზე იქმნებოდა სადაზღვევო ტარიფი, პრემია. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა პირველი სადაზღვევო პოლისები, რომლებიც შემდგომ ფართოდ იქნა გამოყენებული დაზღვევის სხვა სფეროებში.

ამ პერიოდში, საზღვაო დაზღვევის ჩამოყალიბებისას წარმოიშვა "სადაზღვევო ხელშეკრულების" კონცეფცია. ამგვარად, წინათ არსებული კრედიტების გაცემის რთული სანოტარო ფორმა შეიცვალა სადაზღვევო კონტრაქტით, პოლისით, რომელსაც მზღვეველი აძლევდა გემის მფლობელს როგორც დადებული ხელშეკრულების დამადასტურებელ

დოკუმენტს. სადაზღვევო ხელშეკრულება გახდა რისკის ქვეშ მყოფი ნებისმიერი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალება. სადაზღვევო ხელშეკრულების შექმნა განსაზღვრავდა დაზღვევის ფორმირებას და მის შემდგომ განვითარებას.

პირველი სადაზღვევო ორგანიზაციების, სადაზღვევო წესდებების, სადაზღვევო ხელშეკრულებების და სადაზღვევო პოლისის შექმნით სრულდება დაზღვევის განვითარების ეს ეტაპი.

## 5. დაზღვევის სხვადასხვა სახეების განვითარება

ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია სადაზღვევო საქმის განვითარება და საზღვაო დაზღვევის გარდა დაზღვევის სხვა სახეების განვითარება. მოცემული ეტაპი მოიცავს XVIII-XIX სს.

მე-17 საუკუნეს ბოლოს იზრდება ლონდონის, როგორც სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა. XVII საუკუნის 80-იან წლებში ინგლისში წარმოიქმნა მრავალი მსხვილი სადაზღვევო ორგანიზაცია. მათ ჩამოყალიბებას დიდი სტიმული მისცა 1666 წლის ლონდონის დიდმა ხანძარმა, რომელმაც გაანადგურა 13 200 სახლი და 70 ათასი ადამიანი იმსხვერპლა. ხანძრის რისკი დიდი იყო ქალაქად, რადგან მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში სახლების უმრავლესობა ხისგან იყო გაკეთებული, გარდა ამისა, ცეცხლი უზრუნველყოფდა გათბობას, საკვების მომზადებას, სანთლები გამოიყენებოდა გასანათებლად. ამიტომ ხანძრის რისკი ქალაქად ძალიან მაღალი იყო. სოფლად მეზობლები ერთმანეთს ეხმარებოდნენ ხანძრისგან დამწვარი სახლის აღდგენაში. ამისგან განსხვავებით, ქალაქად მცხოვრებნი მზად იყვნენ გადაეხადათ გარკვეული თანხა სადაზღვევო კომპანიისათვის, რომელიც მათ პირდებოდა: სახანძრო მომსახურებით უზრუნველყოფას (ხანძრის ლოკალიზაციას მომიჯნავე შენობებზე მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და ახალი ხანძრების მინიმუმამდე დაყვანას) და დაზღვეული პირზე კომპენსაციის გადახდას, რომელიც საკმარისი იყო საჭირო სპეციალისტების (მშენებლები, დურგლები, კალატოზები და ა.შ.) დასაქირავებლად დაზიანების თავიდან ასაცილებლად ან დამწვარი სახლის აღსადგენად.



ლონდონის ასეთი კატასტროფული ხანძრის შედეგად, 1680 წელს ნიკოლას ბარბონმა (1640-1698 წწ.) გახსნა პირველი ხანძარსაწინააღმდეგო სადაზღვევო კომპანია FrieN dly Society Fire Office.

ამ პერიოდიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ჩნდებიან სადაზღვევო საზოგადოებები, რომლებიც მხოლოდ ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევას ეწეოდნენ. 1677 წელს ჰამბურგში შეიქმნა ხანძარსაწინააღმდეგო გენერალური სალარო. მოგვიანებით, XVII საუკუნის დასაწყისში ბერლინში იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ჩართული იყვნენ ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევაში შეიქმნა ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის წესდება. ამავე დროს საფრანგეთში ლუდოვიკო XIV-ის განკარგულებით შეიქმნა დაზღვევის გენერალური ორგანიზაცია. 1686 წელს კი საფრანგეთში ჩამოყალიბდა საზღვაო დაზღვევის კომპანია. 1765 წელს გერმანიაში შეიქმნა პირველი საზღვაო სადაზღვევო აქციონერული საზოგადოება.

სადაზღვევო საქმის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ედუარდ ლლოიდს (გარდაიცვალა 1713 წელს). 1688 წელს ედუარდ ლლოიდმა ლონდონის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას, მდინარე ტემზის მახლობლად, ტაუერ-სტრიტზე, სწორედ ნავსადგომებთან ახლოს გახსნა ყავახანა.

ასეთი დაწესებულებები XVII საუკუნეში ძალიან პოპულარული იყო ინგლისში, არა იმის გამო, რომ ინგლისელებს ძალიან უყვარდათ ყავა. ეს იყო ტავერნის, ანუ დუქნების ალტერნატივა, სადაც არისტოკრატიულ წრეებს არ უყვარდათ სიარული, რადგან ასეთ ტავერნებში ხშირად იყო მთვრალეებს შორის ჩხუბები, კინკლაობა და შესაძლოა ვინმეს არისტოკრატიულ შულზე ჭიქაც კი მოხვედროდა. მაღალი ფენის წარმომადგენლები, არისტოკრატიული წრეები, იკრიბებოდნენ ყავახანებში, სადაც ერთმანეთს უზიარებდნენ ახალ ამბებს, ჭორებს, დებდნენ გარიგებებს, პოულობდნენ საჭირო ადამიანებს, ან უბრალოდ ერთმანეთისთვის რამდენიმე სიტყვა ეთქვათ.

ლოიდის ყავახანაში პროფესიული პრობლემების განსახილველად რეგულარულად იკრიბებოდნენ მზღვეველები, გემების მეპატრონეები, გემების კაპიტნები, ვაჭრები. აქ მათ შეეძლოთ მიეღოთ ახალი საიმედო ინფორმაცია ვაჭრობის შესახებ, დაეზღვიათ თავიანთი

ტვირთები და სავაჭრო ხომალდები. მათ მოსწონდათ ყავახანის ფართო დარბაზები და მალე საქმიანი შეხვედრების ყველაზე უფრო სასურველ ადგილად გადაიქცა. შემდეგ იმდენად პოპულარული გახდა ლლოიდის ყავახანა, რომ 1691 წელს ლლოიდმა იგი ბევრად უფრო ფართო და მდიდრულ შენობაში გადაიტანა ლომბარდ-სტრიტზე.

თავად ლლოიდი გახლდათ ასეთი წარმატების მიზეზი. მან კარგად გაიაზრა თავისი კლიენტების საჭიროებები. მას პირადად არასდროს არ მიუღია მონაწილეობა სადაზღვევო ბიზნესში და უზრუნველყოფდა გარიგებების კონფიდენციალობას. მის ყავახანაში მაგიდები ყოველთვის სუფთა იყო. კობტად ჩაცმულ მიმტანებს დაჰქონდათ არა მხოლოდ ყავა, არამედ ჩაი და შარბათი. კონტრაქტორებს მოხერხებულად რომ ეგრძნოთ თავი, ცალკე იყო გამოყოფილი ინდივიდუალური, დახურული ოთახები. ნებისმიერს შეეძლო მიეღო ლლოიდისაგან ქაღალდი, კალმები, მელანი და სხვა საჭირო რამ. ყავახანის ერთი კუთხე ყოველთვის დაკავებული იყო გემების კაპიტნებისათვის, სადაც მათ შეეძლოთ ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ საკუთარი აზრები ახლად აღმოჩენილი მარშრუტების საფრთხეების შესახებ.

ლოიდი როგორც ყავახანის მფლობელი ყურადღებით უსმენდა თავისი კლიენტების მიერ მოთხოვნილ სათავგადასავლო ისტორიებს, მათ საუბრებს გარიგებების შესახებ. ლლოიდის დავალებით ყავახანის მიმტანი ქალებიც ყურადღებით უსმენდნენ ზღვაოსან სტუმრებს. მათ შეკრებილი ინფორმაცია მეპატრონესთან მიჰქონდათ. ეს ინფორმაცია მოიცავდა გემის კონსტრუქციას, მის ფაქტიურ მდგომარეობას, კაპიტნისა და მეზღვაურთა განსწავლულობას.

ყავახანა შესვენებების გარეშე მუშაობდა და ღამის განმავლობაშიც სავსე იყო. ერთნი აზღვევდნენ გემებს, მეორენი აწარმოებდნენ შორეული ქვეყნებიდან საქონლის მოწოდების შესახებ შეთანხმებას. მესამენი საგზაო რუკებს ჩაკვირკიტებდნენ.

ლოიდის ყავახანა მალე გადაიქცა ვაჭრობის, საზღვაო გადაზიდვების შესახებ ახალი ცნობების ყველაზე საიმედო წყაროდ, სადაზღვევო ბაზრის პროტოკოპად, ხოლო მისი მფლობელი ეღუარდ ლლოიდი – სადაზღვევო კომპანიების ფუძემდებლად.

ლოიდიმა ერთ-ერთმა პირველმა გაიგო, რომ ბევრი ფულის კეთება შესაძლებელია არა მხოლოდ საქონელზე, არამედ ინფორმაციაზე, და 1696 წელს მან დაიწყო “Lloyds News”-ის გამოშვება. ამ “გაზეთ”-ში იბეჭდებოდა ინფორმაცია გემების ჩამოსვლის და გასვლის განრიგის შესახებ, გემების საზღვაო ვარგისიანობის შესახებ, საზღვაო გზებზე არსებული სიტუაციის შესახებ, ზღვაზე მომხდარი უბედურებების, სადაზღვევო ტარიფების და ყველაფერი იმის შესახებ, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზღვაო ვაჭრობისათვის. ლოიდი ინფორმაციას აწვდიდა კორესპოდენტთა ქსელი ინგლისისა და კონტინენტის მთავარი პორტებიდან.

1726 წელს ლოიდიმა მეორე გაზეთი გამოუშვა, რომელსაც „Lloyd’s list” უწოდა. ამ გაზეთში მოცემული იყო ინფორმაცია მსოფლიო პორტებში გემების შემოსვლისა და გასვლის, გემების სადაზღვევო ტარიფების და ზრვაზე მომხდარი უბედურების შესახებ. 1734 წლიდან გაზეთი გამოდიოდა ყოველწლიურად.

ამ გაზეთის ირგვლივ ლოიდიმა სადაზღვევო კომპანია „New Lloyd”-ი - „ახალი ლოიდი“ დააარსა. 1871 წელს ბრიტანეთის პარლამენტის აქტით მზღვეველთა გაერთიანებამ Lloyd’s მიიღო მზღვეველების კორპორაციის სტატუსი. იგი შემდგომ საზღვაო დაზღვევის და გადაზღვევის ერთ-ერთ უმსხვილეს სადაზღვევო კორპორაციად “ლონდონის ლოიდისი” (Lloyd's of London) იქცა.

ეს ის დრო გახლდათ, როცა ვესტ და ოსტ ინდოეთის კომპანიები დიდი ბრიტანეთის იმპერიას ქმნიდნენ. ხალხის შემოსავალი ძირითადად საზღვაო მიმოსვლაზე, გადაზიდვებზე და ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომაც ლოიდის შეთავაზებას ტვირთების, გემების დაზღვევის შესახებ მრავალი გამოეხმაურა.

ლოიდიმა პირველმა შემოიღო და გამოიყენა სატარიფო მახასიათებლები საზღვაო გადაზიდვების დაზღვევისათვის. გემთფლობელი იძულებული იყო ლოიდის აგენტებისათვის მიეცა გემის დათვალიერების, მისი კონსტრუქციისა და რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. ამ ინფორმაციას “New Lloyd” იყენებდა რისკის შეფასებისა და შესაბამისად სადაზღვევო ტარიფის დასადგენად.

დროთა განმავლობაში ლლოიდის პატენტის მფლობელმა გემმა მოიპოვა უპირატესობა. სიცოცხლის ბოლოს ედუარდ ლლოიდი ბრიტანეთის მეფემ აზნაურის ტიტულით და წოდებით „სერ“ დააჯილდოვა. სერ ედუარდ ლლოიდის სიკვდილის შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სადაზრვევო ორგანიზაციებს ლლოიდები ეწოდათ.

დროთა განმავლობაში ლლოიდის ყავახანის სტუმრები ერთიანდებოდნენ საზღვაო მზღვევლების ასოციაციებად და დაიწყეს გემების საკუთარი რეგისტრაცია. 1760 წელს ლლოიდის სისტემაში წარმოიქმნა მსოფლიოში პირველი საკლასიფიკაციო საზოგადოება – გემების რეესტრი (Lloyd's Register of Shipping). იგი დღესაც ფუნქციონირებს და ახორციელებს გემების კლასიფიკაციას და შეიმუშავებს გემების მშენებლობის სტანდარტებს. იგი ადგენს გემების აშენების წესებს და მდგრადობის ტექნიკურ ნორმებს, რომლის მიხედვითაც გემებს მიენიჭებათ ესა თუ ის კლასი. გემის კლასი დამოწმებულია კლასიფიკაციის მოწმობით. „ლოიდის სანაოსნო რეესტრს“ მართავს ანდერაიტერების, გემთმფლობელების, გემთმშენებლების და სხვა პროფესიონალების მიერ შექმნილი საბჭო. გემების მშენებლობის და მათი მდგომარეობის შენარჩუნების სტანდარტები ქვეყნდება ყოველწლიურ გამოცემაში „Lloyd's Register“, სადაც მოყვანილია მონაცემები მსოფლიოში არსებული ყველა გემის შესახებ მათი კლასისა და წყალწყვის მითითებით.

ასეთი კლასიფიკაციის საზოგადოებები შემდეგ სხვა ქვეყნებშიც შეიქმნა. 1828 წელს საფრანგეთში ჩამოყალიბდა კლასიფიკატორი ორგანიზაცია ვერიტასის ბიურო (Bureau Veritas). ვერიტასის ბიუროს მიერ კლასიფიცირებული გემები „ლოიდის“ შესაბამის რეესტრში აღნიშნულია ნიშნით „BV“. რეესტრის მიხედვით, გემები, რომელთა ასაკი არ აღემატება 25 წელს, ბიუროს მიერ მიჩნეულია გემების იმ კატეგორიად, რომელთა დაზღვევა უნდა განხორციელდეს დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის გარეშე.

1861 წელს გენუაში შეიქმნა იტალიის რეესტრი (Registro Italiano Navale). იტალიის რეესტრის მიერ კლასიფიცირებული გემები „ლოიდის“ შესაბამის რეესტრში აღნიშნულია ნიშნით „RI“.

1867 წელს 600 გემთმფლობელი, გემთმშენებელი და მზღვეველი შეიკრიბა ჰამბურგის საფონდო ბირჟის დიდ დარბაზში გერმანიის ლოიდის დამფუძნებელ ყრილობაზე და ჩამოაყალიბა გერმანიის „ლოიდსი“ (Germanischer Lloyd). „ლოიდსის“ შესაბამის რეესტრში გერმანიის ლოიდის მიერ კლასიფიცირებულ გემებს აქვს აღნიშვნა „GL“. კლასიფიკაციის საზოგადოება შეიქმნა აგრეთვე იაპონიაში, იაპონიის საზღვაო კორპორაციის (Japanese Marine Corporation) და აშშ-ში ამერიკის სანაოსნო ბიუროს (American Bureau of Shipping) სახით.

1779 წელს შემუშავებულ იქნა ლოიდისის პოლისი - Lloyd's S & G (Lloyd's ship and goods), რომელიც მოქმედებდა 200 წლის განმავლობაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში ლორდ ჩალმერსმა ლორდთა პალატაში წარმოადგინა კანონი, რომელიც 1906 წელს საფუძვლად დაედო საზღვაო დაზღვევის კანონს (Marine Insurance Act).

მეოცე საუკუნის დასაწყისში ანდერაიტერების ლონდონის ინსტიტუტმა მიიღო საზღვაო დაზღვევის სტანდარტული პირობების ორგანიზატორ-შემმუშავებლის სტატუსი. აქ შემუშავებული სტანდარტები ფართოდ გამოიყენებოდა საზღვაო დაზღვევაში. 1982 წელს შემუშავდა საზღვაო დაზღვევის პოლისის ახალი წესები და ფორმები.

ინგლისის შემდეგ სადაზღვევო ორგანიზაციები ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე. საზღვაო დაზღვევის ორგანიზაციები შეიქმნა საფრანგეთში (1686 წ., პარიზი), იტალიაში (1741 წ., გენუა), დანიაში (1746 წ.), შვეციაში (1750 წ.). 1667 წელს გერმანიაში გაიხსნა პირველი მსხვილი ხანძრისგან დაზღვევის გენერალური სალარო. ხანძრისგან დაზღვევა შემდგომ პერიოდში გახდა დაზღვევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახე. XVII საუკუნეში ჰოლანდიაში განვითარდა დაზღვევის სხვა სახეც, კერძოდ - სატრანსპორტო დაზღვევა.

დაზღვევის კლასიკურ სახეებთან - საზღვაო, ხანძრის, სიცოცხლის დაზღვევასთან ერთად გაჩნდნენ დაზღვევის სხვა სახეები თუ ქვესახეები: უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა.

XVII საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო სიცოცხლის დაზღვევის განვითარება. სიცოცხლის დაზღვევის განვითარებას ხელი შეუწყო მჭიდროდ დასახლებული ქალაქების

ზრდამ. დიდ ქალაქებში აღინიშნებოდა დაავადებათა, ეპიდემიების, ხოლო მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ხანძრის გახშირება. დაზარალებული მოსახლეობის დაცვის საჭიროებამ გამოიწვია სიცოცხლის დაზღვევის წარმოშობა.

სიცოცხლის დაზღვევის, ასევე უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის წარმოშობაზე გავლენა იქონია მრეწველობის განვითარებამ. საწარმოებში ჯერ კიდევ არარსებობდა უსაფრთხოების აუცილებელი პირობები, ამიტომ ხშირი იყო დასაქმებულთა მასობრივი საწარმოო დაზიანება. მეწარმეები ცდილობდნენ თავიანთი პერსონალი მოეცვათ სიცოცხლის, წარმოებაში უბედური შემთხვევებისგან და ჯანმრთელობის დაზღვევით.

სიცოცხლის დაზღვევის სამშობლოდ მიიჩნევენ ინგლისს, სადაც 1699 წელს შეიქმნა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც ქვრივებისა და ობლების დაზღვევას ახორციელებდა. მოგვიანებით, 1762 წელს ინგლისში დაფუძნდა სიცოცხლის პირველი სადაზღვევო ორგანიზაცია «Equitable society». აღნიშნული კომპანიის დაარსების შემდეგ სიცოცხლის დაზღვევის კომპანიების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. უკვე 1830 წლისათვის ინგლისში სიცოცხლის 35 მსხვილი სადაზღვევო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა. ევროპის კონტინენტზე სიცოცხლის დაზღვევის საზოგადოებები ჩამოყალიბდნენ საფრანგეთში (1819 წ.), ავსტრიაში და ბელგიაში (1824 წ.), იტალიაში (1826 წ.), გერმანიაში (1828 წ.) და ა. შ. გერმანიაში ფართოდ განვითარდა სიცოცხლის საწარმოო დაზღვევა.

ადამიანის სიცოცხლე ფასდაუდებელია და ძნელი წარმოსადგენია, ისეთი ორგანიზაციის არსებობა, რომელსაც შეუძლია დაადგინოს სიცოცხლის დაკარგვის "ექვივალენტი" თანხა. აქედან გამომდინარე, სიცოცხლის დაზღვევა ხორციელდება ნებისმიერი შეთანხმებული თანხით. ადამიანი, რომლის სიცოცხლე დაზღვეულია, მზღვეველს უხდის საკუთარი შემოსავლის ნაწილს. მისი გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრეები ღებულობენ გარკვეულ თანხას. სიცოცხლის დაზღვევა წარმოადგენს დაგროვების საშუალებას დაზღვეულისათვის, მისი ნათესავებისათვის, ან ბიზნეს პარტნიორებისათვის.

ადრეულ ეტაპებზე, დიდი რისკის დადგომისას სადაზღვევო ორგანიზაციის წევრები ზოგჯერ იძულებული იყვნენ გაეყიდათ საკუთარი ქონების გარკვეული ნაწილი (ან მოეხსნათ

თანხა საბანკო ანგარიშიდან), რომ დაზღვეულისთვის ზარალი აენაზღაურებინათ. ლლოიდის სადაზღვევო კორპორაციაში "ლლოიდის წევრი" ვალდებული იყო, რომ თუ რისკი, რომელზეც "ხელი მოაწერა" (underwritten), დადგებოდა, აენაზღაურებინა ზარალი. ტერმინი "ხელმოწერა" (ინგლისური underwrite) ნიშნავს ზუსტად იმას, რაც ჟღერს, ანუ დოკუმენტის შედგენას, რომელიც განსაზღვრავს რისკს (დაზღვევის საგანს, პირობებს და ვადებს, რითაც არის დაზღვეული), და პირს, ვინც აზღვევს მას (ან მის წარმომადგენელს), წერს მოცემული დოკუმენტის ქვემოთ რისკის წილს, რომელიც მზად არის მიიღოს, ხოლო მისი დადგომის შემთხვევაში აანაზღაუროს.

სადაზღვევო საქმის განვითარებამ მოითხოვა პროფესიონალების საჭიროება. კომპანიებმა დაიწყეს სპეციალისტების, ანდერაიტერების დაქირავება. პროფესიული ანდერაიტერები განსაზღვრავდნენ თუ რომელი რისკი დაეზღვიათ და რა სიდიდის პრემია დაეწესებინათ. ამით კიდევ უფრო გაიზარდა სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის სტაბილურობა. აგრეთვე დაზღვეულების ნდობა სადაზღვევო კომპანიებისადმი, რადგან ანდერაიტერების მეშვეობით, ფონდს ყოველთვის ექნებოდა რისკის დადგომისას დაზღვეულებისათვის კომპენსაციის გადახდის, ხოლო აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდის შესაძლებლობა.

სადაზღვევო ორგანიზაციების წევრებს არ სურდათ დიდი ინდივიდუალური რისკების დაზღვევა. ამიტომ დაიწყეს სადაზღვევო კომპანიების აქციების ხალხისთვის შეთავაზება. რისკის დადგომისას ზარალის ანაზღაურება ხორციელდებოდა საერთო ფონდიდან. საერთო ფონდი განიხილებოდა, როგორც საინვესტიციო ფონდი, რომელიც იქმნებოდა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების გაყიდვით, პლიუს ფონდის ინვესტიციების შემოსავლით, პლუს დაზღვეულებისგან შეგროვილი პრემიებით.

თავდაპირველად, ხანძრისგან დაზღვევის აქციონერული საზოგადოებები ჩამოყალიბდნენ ურთიერთდაზღვევის პრინციპებით. მოგვიანებით გაჩნდა კომერციული დაზღვევის ელემენტები, როგორც დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის სახე.

XIX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება მსხვილი სადაზღვევო კომპანიების წარმოქმნა, საჯარო დაზღვევის განვითარება, მსხვილი სადაზღვევო კაპიტალის დაგროვება და სპეციალური სადაზღვევო ფონდების შექმნა. კომპანიების გამსხვილების პროცესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობდა. მცირე სადაზღვევო კომპანიებმა, მსხვილ სადაზღვევო კომპანიებთან მიმართებით კონკურენციის საფრთხე იგრძნეს და ყველანაირად ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მათთვის. მათ გადაწყვიტეს სააქციო კომპანიებისათვის დაეპირისპირებინათ საკუთარი ინდივიდუალური სადაზღვევო გაერთიანებები და ცდილობდნენ აქციონერთა დისკრედიტაციას. მიუხედავად ამისა, დაზღვევის სააქციო ფორმამ ინდივიდუალურთან შედარებით მეტი უპირატესობა მოიპოვა, რადგანაც კაპიტალის გაერთიანების უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნდა. ამგვარად, ამ პერიოდში სააქციო დაზღვევამ დომინანტი მდგომარეობა მოიპოვა სადაზღვევო ბაზარზე. მისი მეთოდები სადაზღვევო პრაქტიკის, სადაზღვევო თეორიის განმსაზღვრელი გახდა და დიდ გავლენას ახდენდა სადაზღვევო კანონმდებლობაზე.

XIX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება აგრეთვე მსხვილი სადაზღვევო კარტელების და კორპორაციები წარმოქმნა. ერთ-ერთ პირველი მსხვილი სადაზღვევო კარტელი წარმოიქმნა ბერლინში 1874 წ. და შედგებოდა 16 სადაზღვევო ორგანიზაციისაგან (გერმანული, ავსტრიული, შვედური).

სადაზღვევო საქმეში კარტელების წარმოქმნას თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა. ამ პერიოდში მიმდინარეობდა მრეწველობის სწრაფი განვითარება, მოსახლეობის გარკვეული ფენების სოციალური დონის და კეთილდღეობის ზრდა, მრეწველოს და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების ფორმირება.

დიდი ფინანსურ და საწარმოო გაერთიანებებამ ინტეგრაციის წინაპირობას წარმოადგინდა სადაზღვევო საქმის და მრეწველობის განვითარების პროცესების ჰარმონიზაციის საჭიროება. როგორც მრეწველობაში, ასევე სადაზღვევო ბიზნესში მეწარმეები ერთიანდებიან შეთანხმების პირობების და სადაზღვევო ოპერაციების ფასების განსაზღვრის მიზნით. საწარმოთა ასეთი კარტელური გაერთიანებები თავის მხრივ, განაპირობებდა მზღვეველთა ასოციაციების წარმოქმნას.



სადაზღვევო კარტელების წარმოქმნამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო XX ს-ის დასაწყისში.

სადაზღვევო კავშირების შექმნის მიზანს წარმოადგენდა დაზღვევის ერთიანი სახეის შემუშავება, სადაზღვევო ზარალიანობის საკითხების შესწავლა, დაზღვევის ტიპური პირობების, სატარიფო პოლიტიკის, ტერმინების ერთიანი გამოყენების შემუშავება.

კარტელებს მოჰყვა კორპორაციების განვითარება. 1880 წელს შეიქმნა გადაზღვევის მიუნხენის საზოგადოება, რომელიც დროთა განმავლობაში გადაიქცა ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს სადაზღვევო კორპორაციად.

კორპორაციებმა თანდათანობით წამყვანი ადგილი დაიკავეს, რადგან, კარტელებისაგან განსხვავებით, ნეადართული იყო შეთავსება - ერთ სადაზღვევო კომპანიას შეეძლო ერთდროულად რამდენიმე კორპორაციებში შესვლა, რაც ხელს უწყობდა ინტერესების გაერთიანებას. უფრო მეტიც, გარკვეული კონცერნები შედიოდნენ მეორეს შემადგენლობაში. არსებობდა კორპორაციების ორი ძირითადი სახე: კორპორაციები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ მხოლოდ სადაზღვევო კომპანიები და კორპორაციები, რომლებშიც შედიოდნენ სადაზღვევო და გადაზღვევის კომპანიები.

ამავე პერიოდში გაიზარდა სადაზღვევო საქმიანობაში სახელმწიფოს როლი. სადაზღვევო ურთიერთობების რეგულირებისათვის მიღებულ იქნა საკანონმდებლო ბაზა. შეიქმნა სახელმწიფო დაზღვევის კომპანიები, სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები, რომლებიც მოიცავდნენ მოსახლეობის უმრავლესობას, ზოგ ქვეყანაში კი მთელ მოსახლეობას. სახელმწიფო დაზღვევა კერძო დაზღვევისაგან განსხვავებით მიზნად არ ისახავდა მოგების მიღებას, შესაბამისად სადაზღვევო შენატანები შედარებით მინიმალური იყო.

სასამართლოს პრაქტიკაში არსებული ათასობით შემთხვევები ჩეულებრივი სამართლის სისტემაში ქმნიდნენ პრეცედენტულ სამართალს, რომლის საფუძველზეც ხორციელდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება. მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში (1900 წ.) ლორდ ჩალმერსმა (Mackenzie Dalzell Chalmers - 1847–1927) გადაწყვიტა რომ ასეთი

პრეცედენტების მუდმივი ძიება ართულებდა მდგომარეობას და ლორდთა პალატას წარუდგინა ბილი. იგი საფუძვლად დაედო საზღვაო დაზღვევის კანონს (Marine Insurance Act), რომელიც მიღებულ იქნა 1906 წელს. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ და ძირითად კანონს საზღვაო დაზღვევის სფეროში. კანონში ფორმულირებულია საზღვაო დაზღვევის ძირითადი პრინციპები. აღნიშნული კანონი უმნიშვნელო დამატებებით დღესაც მოქმედებს დიდ ბრიტანეთში. მისი ნორმები წარმოადგენს მრავალი ქვეყნის ანალოგიური კანონის საფუძველს. კანონში მოცემულია საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების განმარტება, ფორმულირებულია საზღვაო დაზღვევის რისკების სახეები, ჩამოთვლილია საზღვაო დაზღვევის ობიექტები, მზღვეველისა და დამზღვევის უფლებები და მოვალეობები, საზღვაო შემთხვევის დადგომისას მხარეთა ურთიერთობის საკითხები. კანონი 85 მუხლისაგან შედგება.

ამავე პერიოდში სხვა ქვეყნებშიც მიღებულ იქნა სპეციალური კანონები, რომლებიც არეგულირებდნენ სადაზღვევო ურთიერთობებს. ასე მაგალითად, საფრანგეთში 1868 წ. მიღებულ იქნა სპეციალური კანონი სადაზღვევო ორგანიზაციების შესახებ, გერმანიაში 1908 წ. ამოქმედდა კანონი სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ. გერმანიაში საზღვაო დაზღვევა რეგულირდება 1897 წელს მიღებული სავაჭრო კოდექსით და საზღვაო დაზღვევის საერთო გერმანული წესებით (1867 წ.). შვეიცარიაში 1908 წელს მიღებულ იქნა კანონი სადაზღვევო ხელშეკრულებაზე. ავსტრიაში 1917 წელს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი, რომელიც არეგულირებს სადაზღვევო ოპერაციების ყველა სახეებს, გარდა საზღვაო დაზღვევისა და გადაზღვევისა.

მეოცე საუკუნეში დაზღვევამ შეიძინა საკუთარი ნამდვილი ეკონომიკური მნიშვნელობა, დაზღვევა გახდა როგორც სერთაშორისო, ასევე ეროვნული ფინანსური სისტემის მთავარი სექტორი. ამავე პერიოდში ჩაისახა სადაზღვევო მეცნიერება, გაჩნდა საერთაშორისო დაზღვევა. თანამედროვე დროს საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ არსებობს მატერიალური ობიექტები და ინტერესები, რომლებიც არ არის დაცული დაზღვევით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Kingston, Christopher. "Marine Insurance in Britain and America, 1720–1844: A Comparative Institutional Analysis," *Journal of Economic History*, June 2007, Vol. 67 Issue 2;
2. Robin Pearson. Towards an international history of insurance: what we know, and terra incognita. University of Geneva seminar, 14 April 2011.
3. Pearson, Robin. *The Development of International Insurance* (2010)
4. Pearson, Robin. *Insuring the Industrial Revolution: Fire Insurance in Great Britain, 1700-1850* (2004)
5. Robin Pearson, 'Towards an Historical Model of Financial Services Innovation: The Case of the Insurance Industry 1700-1914', *Economic History Review*, 50 (1997)
6. Robin Pearson, 'Growth, Crisis and Change in the Insurance Industry: A Retrospect', *Accounting, Business and Financial History*, 12 (2002).
7. Robin Pearson, 'Fire Insurance and the British Textile Industries during the Industrial Revolution', *Business History*, 34 (1992).
8. Robin Pearson, 'Thrift or Dissipation? The Business of Life Assurance in the Early Nineteenth Century', *Economic History Review*, 43 (1990).
9. Robin Pearson, 'The Development of Reinsurance Markets in Europe during the Nineteenth Century', *Journal of European Economic History*, 24 (1995).
10. Harold E. Raynes, *A History of British Insurance*, first edition (London, 1948).
11. Geoffrey Jones, "British Multinationals and British Business since 1850," in Maurice W. Kirby and Mary B. Rose, eds. *Business Enterprise in Modern Britain: From the Eighteenth to the Twentieth Century* (London and New York, 1994)

12. Klasien Horstmann, *Public Bodies, Private Lives: The Historical Construction of Life Insurance, Health Risks and Citizenship in the Netherlands, 1880-1920* (Rotterdam, 2001)

13. Robert L. Carter, and Peter Falush, *The British Insurance Industry since 1900: the Era of Transformation* (London, 2009).

14. Robin Pearson and Mikael Lönnborg, 'Regulatory Regimes and Multinational Insurers before 1914', *Business History Review*, 82 (2008).

15. P. G. M. Dickson, *The Sun Insurance Office, 1760-1960* (Oxford, 1960).

16. Clive Trebilcock, *Phoenix Assurance and the Development of British Insurance*, vol.1 (Cambridge, 1985),

17. Ruffat, 'French Insurance from the Ancien Régime to 1946.

18. Barry Supple, *The Royal Exchange Assurance: a History of British Insurance 1720-1970* (Cambridge: Cambridge University Press, 1970).

19. Christopher Kingston, 'Marine Insurance in Britain and America, 1720-1844: A Comparative Institutional Analysis', *Journal of Economic History*, 67 (2007).

20. გ. გიგოლაშვილი, *სადაზღვევო საქმე*, თბილისი, 2010.

21. კ. ჯაყელი, *დაზღვევა და ჯანდაცვის ეკონომიკა*, თბილისი, 2010.

22. კ. ჯაყელი. *დაზღვევის ეკონომიკის საფუძვლები*, 1999 წ.

21. თ. ვერულავა, *ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა*, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.

© თენგიზ ვერულავა. *დაზღვევის ისტორია*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2013 წ.

